ოქმი:**ო31. 3124361001**
თარიღი:**26/12/2024**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის
ოქმი N16

ქ. ლანჩხუთი

24. 12. 2024 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები გიორგი ჩახვაძე და ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია,მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა, მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი ირაკლი ხუხუნაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ დღევანდელი სხდომა ბოლოა მიმდინარე წელს და დამსწრე საზოგადოებას მიულოცა დამდეგი შობა ახალი წელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მერიიდან შემოვიდა რამდენიმე საკითხი და მიმართა საკრებულოს წევრებს, რომ აღნიშნული საკითხები დამატებოდა დღის წესრიგის პროექტს.
კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.

მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ემზარ თევდორაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ანზორ კვერენჩხილაძისთვის (პ/ნ 26001004263) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

9. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

10. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ნანა ურუშაძე - ძიმისტარიშვილისთვის (პ/ნ 61001021917) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის

შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

11. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ეთერ ხუტულაიშვილისათვის (პ/ნ 26001011837) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

12. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შ.პ.ს. „ ავტო 2018 “ - სთვის (ს/კ 433649741) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

13. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ციალა ლომაძისთვის (პ/ნ 26001003806) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

14. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მარინა ორაგველიძისთვის (პ/ნ 26001012145) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი/

15. **„**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება“-სთვის (ს/კ 433649411) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ირაკლი ხუხუნაიშვილი

16.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

17. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

18. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

19. ,, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი სახცოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 აგვისტოს N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

20. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.

მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული და სპორტული დაწესებულებები. მათ შორისაა:

25 საჯარო სკოლა, სადაც სწავლობს 3667 მოსწავლე;

20 საბავშვო ბაღი - სააღმზრდელო პროცეს გადის 750 ბავშვი;

4 კულტურის სახლი - წრეების პროგრამებზე მონაწილეობს 400 აღსაზრდელი;

1 ბავშვთა საფეხბურთო აკადემია;

18 ბიბლიოთეკა;

ე. ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრი და მასთან არსებული თოჯინების თეატრი;

1 სპორტული ცენტრი - სპორტის 11 სახეობას ეუფლება 382 ბავშვი;

1 საფეხბურთო სკოლა -ფეხბურთს ეუფლება 200 ბავშვი;

დაწყებითი სამუსიკო განათლების 2 და დაწყებითი სამხატვრო განათლების 1 სკოლა - შესაბამისად 275 და 215 აღსაზრდელი;

მუნიციპალური ქალთა საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის ლანჩხუთი“;

პროფესიული სასწავლებელი კოლეჯი ,, ჰორიზონტი“.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი შეადგენს 37.8 მლნ ლარს. ეს მაჩვენებელი ერთ-ერთი საუკეთესოა მუნიციპალიტეტის ბოლო წლების ბიუჯეტების მაჩვენებლებს შორის. ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილს მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური და სპეციალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებთან შედარებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების სტრუქტურა 2025-2027 წლებში მნიშვნელოვნად არ იცვლება. საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გათვალისწინებულია 2025 წლის 1 იანვრიდან საბიუჯეტო კოდექსში დაგეგმილი ცვლილება, რომლის მიხედვითაც დამატებითი ღირებულების გადასახადის 19% განაწილდება მუნიციპალურ ბიუჯეტებში. გადასახადების ზრდა გამოთვლილია ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტში მოცემული 2024-2027 წლების ეკონომიკური ზრდისა და

დეფლატორის საპროგნოზო მაჩვენებლების მხედველობაში მიღებით. გრანტების საპროგნოზო მაჩვენებლებში, მცირეოდენი ზრდით შემდგომ წლებზე, მოცემულია ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის. სხვა შემოსავლებისა და არაფინანსური აქტივების კლების (კაპიტალური შემოსავლები) პროგნოზის გაანგარიშებისას ასევე მხედველობაში იქნა მიღებული ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული პროგნოზები და ამ შემოსავლის სახეობებში ბოლო წლების არსებული ტენდენციები.

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2025-2028 წწ-ში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

ინფრასტრუქტურის განვითარება;

დასუფთავება და გარემოს დაცვა;

განათლება;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა/რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარემოს დასუფთავება და ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება, კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. დაფინანსდება აღნიშნულთან დაკავშირებული ხარჯები, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება, ნარჩენების გატანა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები. შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და გაუმჯობესება; ნარჩენების სრული იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან; მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა–დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქის ტერიტორიის კეთილმოწყობითი და გამწვანებითი სამუშაოები. ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, სკვერებში ბალახის გათიბვა ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების გადაყვანა კასტრაცია ვაქცინაციის მიზნით.

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა.

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების

მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზერვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N58(24.12.2024).

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2025-2028 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო მაჩვენებლების შესაბამისად (2025 წლის

სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის თანდართული მასალები). მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 1551 მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

2025 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 27705,6 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 21254,8 ათას ლარს შეადგენს. 2024 წლის გეგმურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის შემოსავლების პროგნოზი იზრდება 1518,8 ათასი ლარით (6,3 %-ით).

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა საკუთარი შემოსავლებით შეადგენს 26958,8 ათას ლარს (2024 წლის დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 1854,1ათასი ლარით). აღნიშნული ზრდა გამოწვეულია მომსახურების ხარჯების ზრდით.

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

ინფრასტრუქტურის განვითარება - 5770,3 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესყიდვის ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 1730 ათასი

ლარი;

სოფლის პროგრამის მხარდაჭერა 250 ათასი ლარი;

ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა - 100,0 ათასი

ლარი;

დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა - 2665,0 ათასი ლარი, მათ შორის:

დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 2343,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგვა-დასუფთავება და

ნარჩენების გატანა.

მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება - 302,0 ათასი ლარი;

უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებები - 20,0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაწანწალა ცხოველების დაცვითი ღონისძიებები.

განათლება - 5059,0 ათასი ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლება - 5000,0 ათასი ლარი;

განათლების ხელშეწყობა - 59,0 ათასი ლარი;

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი - 5728,7 ათასი ლარი მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა - 3443,6 ათასი ლარი;

კულტურის განვითარების ხელშეწყობა -2253,1 ათასი ლარი;

ახალგაზრდობის მხარდაჭერა -32,0 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1558,7 ათასი ლარი,

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა 270.0 ათ ლარი

სოციალური პროგრამები - 1288,7 ათასი ლარი;

მმართველობა - 6177,1 ათასი ლარი,მათ შორის:

საკრებულოს დაფინანსება - 1530,3 ათასი ლარი;

მერია - 4178,9 ათასი ლარი;

სარეზერვო ფონდი - 70,0 ათასი ლარი.

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავი თანხა და ვალის მომსახურება 68,1 ათასი ლარი, მათ შორის - ძირი 58,1 ათასი ლარი და პროცენტი -10 ათასი ლარი.

წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა 100,0 ათასი ლარი;

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა - 229,8 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან დაფინანსება განსაზღვრულია 6665.3 ათასი ლარით.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა

ფუნქციონალურ ჭრილში:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 6325.1 ათასი ლარი;

ეკონომიკური საქმიანობა - 5394.6 ათასი ლარი;

გარემოს დაცვა - 2645 ათასი ლარი;

საბინაო-კომუნალური მეურნეობა - 4877.3 ათასი ლარი;

ჯანმრთელობის დაცვა 270 ათასი ლარი;

დასვენება, კულტურა და რელიგია-7468.4 ათასი ლარი;

განათლება -5296.9 ათასი ლარი;

სოციალური დაცვა -1288.7 ათასი ლარი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიამ განიხილა საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმართ გამოთქმული შენიშვნები და წინადადებები, განხილვის შედეგად ბიუჯეტის პროექტში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები კერძოდ;

მუნიციპალიტეტის 2025 წლის განახლებული ბიუჯეტის პროექტის ხარჯვითი ნაწილი გაიზარდა 1934100 ლარით, ხოლო ცალკეულ ღონისძიებების დაფინანსება შემცირდა 328300 ლარით, ანუ ბიუჯეტი ხარჯვით ნაწილში გაიზარდა 1605800 ლარით. დამატებით აღებული ვალდებულებების დაფინანსებისათვის ბიუჯეტის შემოსავლების პროგნოზი გაიზარდა 1328300 ლარით, მათ შორის;

დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმის 1058300 ლარით, მიზნობრივი ტრანსფერის 270000 ლარით ზრდის ხარჯზე, ასევე ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის მიმართვა ხარჯებზე გაიზარდა 277500 ლარით.

განახლებულ ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილ წინადადებებიდან გათვალისწინებულია შემდეგი ღონისძიებები;

- ქალაქ ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში აგრარული ბაზრის, ავტო სალაროს და ბავშვთა გასართობი სკვერის მოწყობა 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარი, (პროექტის სავარაუდო ღირებულება 3377900 ლარი);

- სპეცტექნიკის შეძენა (კალათა) 250000 ლარი;

- სოციალური პროგრამები დამატებით გაიზარდა 64100 ლარით; მათ შორის სამკურნალო და

საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა 15000 ლარი; მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა 40000 ლარი, ცელიაკით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებით დამატების უზრუნველყოფის პროგრამა 3600 ლარი, დღის ცენტრის იავნანას დაფინანსება 3000 ლარი.

- გეოგრაფიული ობიექტების მიმანიშნებელი აბრების დამზადება 15000 ლარი.

- მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაფინანსური აქტივების მუხლი გაიზარდა 10000 ლარით.

- წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოებზე მიიმართება 350000 ლარი.

-შესაბამის სტრუქტურებთან კონსულტაციის საფუძველზე ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დაფინანსება განისაზღვრა 270000 ლარით. (მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯზე).

ღონისძიებები რომელიც ვერ იქნა ასახული განახლებულ ბიუჯეტში პროექტში საკითხები

მოითხოვს დამატებით გაანალიზებას და მისი დაფინანსების რესურსების მოძიებას.

საკრებულოს წევრი **ნინო მშვიდობაძე** დაინტერესდა კულტურის ცენტრთან არსებული სარეპეტიციო დარბაზის რეაბილიტაციის საკითხით.

საკრებულოს წევრმა **ელისო ჭიჭინაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სოციალური პაკეტი მორგებულია ადგილობრივ მოსახლეობაზე და მასში გათვალისწინებულია საკრებულოს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები, რისთვისაც მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის მერს. ის დაინტერესდა. იქნება თუ არა შესაძლებელი ოპერაციების თანადაფინანსების თანხა გაიზარდოს 500 ლარამდე.

საკრებულოს წევრმა **დარეჯან ბურჭულაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში მაქსიმალურად არის გათვალისწინებული დეპუტატების მიერ კომისიებსა და ფრაქციაში გამოთქმული შენიშვნები. მისი თქმით ბიუჯეტი იდეალური ვერ იქნება, რადგან იგი სამუშაო პროცესია და იმედს იტოვებს, რომ წლის განმავლობაში მოგვარდება ის პრობლემებიც რაც ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი მორგებულია ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებზე და მასში მაქსიმალურად გათვალისწინებულია ფრაქციის მიერ გამოთქმული შენიშვნები.

საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტმა გაიარა ყველა საჭირო პროცედურა, იგი საკმაოდ თამამად არის დაგეგმილი, რაც დიდ გამოწვევებთან არის დაკავშირებული, რისთვისაც მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო არის მზად.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა:

კულტურის გაერთიანებათა ცენტრს გამოეყო მათ მიერ მოთხოვნილ თანხაზე მეტი(1580000 ლარი), შესაბამისად მიმდინარე წელს გარკვეული თანხები დაიხარჯა სხვადასხვა ობიექტების რეაბილიტაციისთვის, რის გამოც კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს ჯერჯერობით ვერ გააკეთებენ, ამ ეტაპზე არის მხოლოდ დროებითი სამუშაოებისთვის საჭირო თანხები.

ოპერაციების თანადაფინანსების თანხა ამ ეტაპზე ბიუჯეტში განსაზღვრულია 400 ლარით, მაგრამ თუ აღმოჩნდება რესურსი აუცილებლად გაიზრდება, რადგან ეს არის ძალიან მოთხოვნადი პროგრამა და მაქსიმალურად შეეცდებიან როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ დონეზე დახმარება გაუწიონ მოსახლეობას.

მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** შეეხო საქართველოში ბოლო პერიოდში მიმდინარე პროცესებს და აღნიშნა, რომ ოპოზიციის მხრიდან იკვეთება სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობის ნიშნები. მათ უპასუხისმგებლო დამოკიდებულება აქვთ დაკისრებულ მოვალეობებზე საკრებულოებსა თუ პარლამენტში, მონაწილეობა არ მიუღიათ ქვეყნის მთავარი დოკუმენტის- 2025 წლის ბიუჯეტის ფორმირებაში, მაგრამ მიუხედავად ამისა უმრავლესობა აგრძელებს სწორად, გააზრებულად და მშვიდობიანად სვლას ევროპისკენ. დასასრულს მან მადლობა გადაუხადა მერიის ყველა სამსახურს და საკრებულოს მიმდინარე წელს გაწეული სამუშაოსთვის და მიულოცა დამდეგი შობა ახალი წელი, რასაც შემოუერთდნენ საკრებულოს წევრებიც.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N16(24.12.2024).

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობებში“ შესატანი ცვლილებები განპირობებულია საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე. მათი საქმიანობის დაფასებისა და მოტივაციის გაზრდის მიზნით, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ხელფასების გარკვეული რაოდენობით კვლავ გაზრდის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ხელფასების მოწესრიგება.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N17(24.12.2024).

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N15 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებულ დანართში „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში“ შეტანილ იქნა შემდეგი სახის ცვლილება:

2025 წლის 01 იანვრიდან საკრებულოს წევრის მიერ მე-13-ე მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან საკრებულოს წევრებს აუნაზღაურდებათ ზღვრული ოდენობით- თვეში 935 ლარი.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N18(24.12.2024).

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა

შოთა ჩაგუნავამ. მან განმარტა, რომ „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, შეიცვალა დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი, რამაც განაპირობა წარმოდგენილი ცვლილების ინიციირება. პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა უკვე განსაზღვრულია მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N19(24.12.2024).

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ.**

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N59(24.12.2024).

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ელექტრონული აუქციონის ფორმით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსმა **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ იგეგმება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ ნიგოითში მდებარე 20 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 27.04.45.004) გაცემა ელექტრონული აუქციონის წესით, სარგებლობის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2024 წლის 16 სექტემბრის დასკვნა N 5005670824 საფუძველზე, შემოდიან წინადადებით, რომ ზემოხსენებული უძრავი ქონებისათვის სარგებლობით გაცემის წლიურ ქირის ოდენობად განისაზღვროს 216 (ორას თექვსმეტი) ლარი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N60(24.12.2024).

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ანზორ კვერენჩხილაძისთვის (პ/ნ 26001004263) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის

მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 25 ნოემბერს N 19/302433048-30 წერილით მომართა მოქალაქე ანზორ კვერენჩხილაძემ, რომელშიც ითხოვს სოფელ ჩოჩხათში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.13.43.00) N 27.13.43.001.01.511 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 32,1 კვ.მ. ფართიდან ოთახი N-3 ის - 24,57 კვ.მ. ფართის გადაცემას სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით. ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებას განმცხადებელი 2019 წლიდან (2019 წლის 10 ივნისის N 1 ქირავნობის ხელშეკრულება) სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, ქირავნობის ფორმით ფლობს. რადგან ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად, ანზორ კვერენჩხილაძეს გადაეცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით, სოფელ ჩოჩხათში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში N 27.13.43.001.01.511 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 32,1 კვ.მ. ფართიდან ოთახი N-3 - 24,57 კვ.მ. აგრეთვე მათი მოსაზრებაა, რომ ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს საბაზრო ღირებულების 4 471,74 (ოთხიათას ოთხას სამოცდათერთმეტი ლარი და სამოცდათოთხმეტი თეთრი) ლარის 30%-ის ოდენობით, რაც შეადგენს 1341,53 (ათას სამას ორმოცდაერთი ლარი და ორმოცდაცამეტი თეთრი) ლარს, ხოლო ყოველთვიურად 111,80 (ასთერთმეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 19 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N61(24.12.2024).

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების, ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილემ ზაზა შოშიტაიშვილმა მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურს მომართა წერილობით, რათა საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში) სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, სამსახურებრივი საჭიროებისთვის, ბალანსიდან ბალანსზე, უსასყიდლოდ უვადო სარგებლობაში გადასცენ, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული მსუბუქი მაღალი გამავლობის ავტოსატრანსპორტო საშუალება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N62(24.12.2024).

დღის წესრიგის მეათე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ნანა ურუშაძე - ძიმისტარიშვილისთვის (პ/ნ 61001021917) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე

მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 25 ნოემბერს N 19/302433040-30 წერილით მომართა მოქალაქე ნანა ურუშაძე ძიმისტარიშვილმა რომელშიც ითხოვს სოფელ ჩოჩხათში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.13.43.001) N 27.13.43.001.01.009 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 23,91 კვ.მ. ფართის გადაცემას სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით. მოგახსენებთ რომ ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებას განმცხადებელი 2019 წლიდან (2019 წლის 10 ივნისის N 5 ქირავნობის ხელშეკრულება) სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, ქირავნობის ფორმით ფლობს (ხელშეკრულება თან ერთვის) და აღნიშნულ ფართში მოწყობილი აქვს სტომატოლოგიური კაბინეტი, ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად ნანა ურუშაძე-ძიმისტარიშვილს გადაეცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით, სოფელ ჩოჩხათში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.13.43.001) N 27.13.43.001.01.009 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 23,91 კვ.მ. ფართი, აგრეთვე მათი მოსაზრებაა, რომ ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს საბაზრო ღირებულების 4 351,62 (ოთხიათას სამას ორმოცდათერთმეტი ლარი და სამოცდაორი თეთრი) ლარის 35%-ის ოდენობით რაც შეადგენს 1 523,10 (ათას ხუთას ოცდასამი ლარი და ათი თეთრი) ლარს, ყოველთვიურად 126,93 (ასოცდაექვსი ლარი და ოთხმოცდაცამეტი თეთრი) ლარი. ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 27 ნოემბერს N 19/302433267-30 წერილით მომართა მოქალაქე ნანა ურუშაძე-ძიმისტარიშვილმა რომელშიც ითხოვს სოფელ სუფსაში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 27.15.52.294.01.506 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებულ 28.30 კვ.მ. ფართის გადაცემას სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად ნანა ურუშაძე-ძიმისტარიშვილს გადაეცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით, სოფელ სუფსაში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 27.15.52.294.01.506 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 28.30 კვ.მ. ფართი აგრეთვე მათი მოსაზრებაა ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს საბაზრო ღირებულების 6078 (ექვსიათას სამოცდათვრამეტი) ლარის 20%-ის ოდენობით რაც შეადგენს 1 519,5 (ათას ხუთას ცხრამეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს, ყოველთვიურად 126,63 (ასოცდაექვსი ლარი და სამოცდასამი თეთრი) ლარი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N63(24.12.2024).

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ეთერ ხუტულაიშვილისათვის (პ/ნ 26001011837) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 25 ნოემბერს N 19/302433046-30 წერილით მომართა მოქალაქე ეთერ ხუტულაიშვილმა, რომელშიც ითხოვს სოფელ ჩოჩხათში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-

ნაგებობაში (ს/კ 27.13.43.001) N 27.13.43.001.01.018 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 36,84 კვ.მ. ფართის გადაცემას სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით. ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებას განმცხადებელი 2019 წლიდან (2019 წლის 10 ივნისის N 4 ქირავნობის ხელშეკრულება) ფლობს სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, ქირავნობის ფორმით (ხელშეკრულება თან ერთვის) ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად ეთერ ხუტულაიშვილს გადაეცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით, სოფელ ჩოჩხათში მდებარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.13.43.001) N 27.13.43.001.01.018 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული 36,84 კვ.მ. ფართი, აგრეთვე სამსახურის მოსაზრებაა ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს საბაზრო ღირებულების 6 704,88 (ექვსიათას შვიდასოთხი ლარი და ოთხმოცდარვა თეთრი) ლარის 23%-ის ოდენობით - 1542,13 (ათას ხუთას ორმოცდაორი ლარი და ცამეტი თეთრი) ლარი, რაც ყოველთვიურად არის 128,52 (ასოცდარვა ლარი და ორმოცდათორმეტი თეთრი) ლარი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N64(24.12.2024).

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, შ.პ.ს. „ავტო 2018“ - სთვის (ს/კ 433649741) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა (კანცელარიის ნომერი N 10/302419940-30 – 17.07.2024 წ) შ.პ.ს. „ ავტო 2018 „-ის (ს/კ 433649741) დირექტორმა დავით გოგუაძემ (მცხოვრები ქ. ლანჩხუთში გოჩა კვირკველიას ქუჩა N 10-ში) რომელშიც ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 126-ში მდებარე 51,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (ს/კ 27.06.51.005.01.532) 19,329 კვ.მ.-ის პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობით გადაცემას. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა გადაეცეს განმცხადებელს სასყიდლიანი სარგებლობით, პირდაპირი განკარგვის წესით, ქირავნობის ფორმით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩა N 126-ში მდებარე 51,30 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართიდან (ს/კ 27.06.51.005.01.532) 19,329 კვ.მ., ხოლო წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს 19.329 კვ.მ ფართის ღირებულების - 12 294 (თორმეტი ათას ორასოთხმოცდათორმეტი) ლარის 15% -ით, რაც შეადგენს 1 844,1 (ათას რვაას ორმოცდაოთხი ლარი და ათი თეთრი) ლარს, ყოველთვიური გადასახადი კი იქნება 153,68 (ასორმოცდაცამეტი ლარი და სამოცდარვა თეთრი), ხოლო ხელშეკრულების ვადად განისაზღვროს 2 წელი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

მიღებულ იქნა განკარგულება N65(24.12.2024).

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ციალა ლომაძისთვის (პ/ნ 26001003806) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 8 აპრილს N 19/302409931-30 წერილით მომართა მოქალაქე ციალა ლომაძემ, რომელშიც ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N 126-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.06.51.005) არსებულ 15,50 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართ N 20-ს (ს/კ 27.06.51.005.01.523) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემას. ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებას განმცხადებელი 2019 წლიდან (2019 წლის 11 ივნისის N 9 ქირავნობის ხელშეკრულება) სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, ქირავნობის ფორმით ფლობს. ვინაიდან ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად ციალა ლომაძეს გადაეცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N 126-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.06.51.005) არსებული 15,50 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი N 20 (ს/კ 27.06.51.005.01.523) აგრეთვე მათი მოსაზრებაა ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს საბაზრო ღირებულების 16 430 (თექვსმეტი ათას ოთხასოცდაათი) ლარის 10%-ის ოდენობით რაც შეადგენს 1 643 (ათას ექვსას ორმოცდასამი) ლარს, ხოლო ყოველთვიურად 137 (ასოცდაჩვიდმეტი) ლარი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N66(24.12.2024).

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მარინა ორაგველიძისთვის (პ/ნ 26001012145) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას 2024 წლის 8 აპრილს N19/302409932-30 წერილით მომართა მოქალაქე მარინა ორაგველიძემ, რომელშიც ითხოვს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N 126-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.06.51.005) არსებულ 16,10 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი N 19-ს (ს/კ 27.06.51.005.01.522) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემას. ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებას განმცხადებელი 2019 წლიდან (2019 წლის 11 ივნისის N 8 ქირავნობის ხელშეკრულება) სარგებლობის უფლებით, სასყიდლით, ქირავნობის ფორმით ფლობს. ხელშეკრულებას ვადა გაუვიდა. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N 669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების თანახმად მარინა ორაგველიძეს გადაეცეს სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით 2 წლის ვადით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N 126-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში (ს/კ 27.06.51.005) არსებული 16,10 კვ.მ. არასაცხოვრებელი ფართი N 19 (ს/

კ27.06.51.005.01.522), აგრეთვე მათი მოსაზრებაა, რომ ზემოთ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე წლიური ქირის ოდენობად განისაზღვროს საბაზრო ღირებულების 17 070 (ჩვიდმეტი ათას სამოცდაათი) ლარის 10%-ის ოდენობით რაც შეადგენს 1 707 (ათას შვიდას შვიდი) ლარს, ხოლო ყოველთვიურად 142,25 (ასორმოცდაორი ლარი და ოცდახუთი თეთრი) ლარი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N67(24.12.2024).

დღის წესრიგის მეთხუთმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება“-სთვის (ს/კ 433649411) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილმა**. მან განმარტა, რომ ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება“-მ 2024 წლის 5 დეკემბრის N 56 წერილით მომართა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას და მოითხოვა უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ სუფსაში მდებარე 700 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული 324.94 კ.მ. ახალაშენებული სამუსიკო სკოლის შენობა 1-ის (ს/კ 27.15.52.746) სარგებლობაში გადაცემა. მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნული უძრავი ქონება ა(ა)იპ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება“-ს გადაეცეს სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, უზუფრუქტის ფორმით. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N68(24.12.2024).

დღის წესრიგის მეთექვსმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან განმარტა, რომ წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

მუხლი 1. ფულადი სოციალური დახმარების სახეები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა

სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 01)

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 02)

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;(პროგრამის კოდი 06 02 03)

დ) ცენტრ ,,იავნანას" თანადაფინანსების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 04)

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 05)

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 06)

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 07) თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 08)

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 09)

კ) ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი"- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 10)

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 11) მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა; (პროგრამის კოდი 06 02 12)

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.(პროგრამის კოდი 06 02 13)

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 14) პ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 16)

ჟ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 17) რ)გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა. (პროგრამის კოდი 06 02 18)

ს) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 19)

ტ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 20).

უ) 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 21). ფ)ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 22).

ქ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. (პროგრამის კოდი 06 02 23).

ღ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 24).

ყ) რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა.

(პროგრამის კოდი 06 02 25).

მუხლი 2. სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებაზე პასუხისმგებელი უწყება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების სამსახური (შემდგომში – სამსახური).

მუხლი 3. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

3. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.

4. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 4. ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით – თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა – განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა – განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის ამონაწერი ან ცნობა რომ ოჯახი არ არის დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში;

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა – ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშფაქტურა/ კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100,); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ; ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო - გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების, ანგიოგრაფიული კვლევის,

იმუნოჰისტოქიმური კვლევის, პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) და ბიოფსია უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა ღირებულების 50% მაგრამ არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.

დ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა – კომუნალური ხარჯების, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა;

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე;

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში;

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა- განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში;

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ფართის მეპატრონის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის საბანკო ანგარიში;

კ) ლანჩხუთის რეგიონული ორგანიზაციის ,,გამარჯვებულ ქალთა კლუბი"- ს ონკოპაციენტთა მხარდაჭერის, რეაბილიტაციის და ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგისა და ადრეული გამოვლენის პროგრამა -ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში;

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა – განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება, მერის

წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა – განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

პ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა – განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე; ჟ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა – ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის შემთხვევაში პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში – დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა ან ცნობა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურების რაოდენობის შესახებ. რომლის შესაბამისად მოხდება მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციისთვის და ბავშვებისთვის ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში. ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების შემთხვევაში – პირის კანონიერი წარმომადგენლის/ მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში – დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურების მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურების რაოდენობის შესახებ, რომლის შესაბამისად მოხდება შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

რ) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა- განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დოკუმენტი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

ს) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან

დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

ტ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

უ) 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ფ) ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ფორმა №100/ა და ანგარიშფაქტურა საქართველოში განთავსებული შესაბამისი სააფთიაქო დაწესებულებიდან. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ქ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0-დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით, ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან (R62.0) განვითარების ეტაპების დაყოვნების დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულნი; პროგრამაში ჩართვისთვის ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა პროგრამაში ჩართვის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვთა ფსიქიატრის მიერ გაცემული მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელშიც მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, ADOS ტესტირების შედეგი; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რეაბილიტაციური სერვისის განხორციელების საჭირო ხარჯი დაფინანსდება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, რომელიც შესრულებული სამუშაო კალკულაციის შესაბამისად გადაირიცხება შემსრულებელი ორგანიზაციის ანგარიშზე;

ღ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამით დადგენილი მომსახურების მიმღები პირია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მცხოვრები 18 წელზე უფროსი ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, რომელსაც სამინისტროს მიერ უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით განხორციელებული შეფასების საფუძველზე განესაზღვრა პერსონალური ასისტენტის მომსახურების საჭიროება და ასისტირების ტიპი. პროგრამით სარგებლობისთვის უნდა იყოს წარმოდგენილი შევსებული განაცხადის ფორმა; ასისტირების საჭიროების მქონე პირის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; კანონიერი წარმომადგენლის/მხარდამჭერის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი და შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს, რომ პირს ჰყავს კანონიერი წარმომადგენელი/მხარდამჭერი; შშმ პირის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; ამონაწერი სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზიდან; მარჩენალდაკარგულის სტატუსის მქონე პირი – მარჩენალის გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი; მარტოხელა პენსიონერის შემთხვევაში – შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული სამართლებრივი დოკუმენტი (რომლითაც დასტურდება, რომ არ ჰყავს შვილები და/ან მარჩენალი); მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი; მრავალშვილიანი ოჯახის სრულწლოვანი პირის შემთხვევაში – ყველა შვილის დაბადების მოწმობის ასლი.

ყ) რისკის ქვეშ მყოფი 0- დან 18 წლამდე ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის/ბავშვების დაბადების მოწმობის ასლი. გადაწყვეტილება ასეთ ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაწევის მიზანშეწონილობის შესახებ მიიღება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი კომისიის მიერ. თანხა გაიცემა მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, ბენეფიციარზე დადგენილი საჭიროებებიდან გამომდინარე. შენიშვნა: ამ მუხლის ქ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

1) შესაბამისი მომსახურების მიწოდებისთვის ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს ქცევითი თერაპევტი;

2) ქცევითი თერაპევტის (10 მოსარგებლეზე, არანაკლებ, 1 თერაპევტის) ყოლა, რომელიც არის ბავშვის ქცევითი აშლილობების მართვის უნარ – ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში და გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის ბაზისური მომზადების კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით;

3) აუცილებელია, ყოველ 5 ქცევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქცევითი თერაპევტი, რომელსაც შეუძლია: ბავშვის/ მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: ABLLS,VB-MAPP და სხვა); ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა; აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის, სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება;

4) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისთვის ერთი-ერთზე სერვისის განსახორციელებლად). ქ. ლანჩხუთში მიმღებ ოჯახში განთავსებული სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ ბავშვებზე არ გავრცელდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრაციის ვალდებულების ჩანაწერი.

მუხლი 5. განცხადებების განხილვა

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მიერ მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობისა და ეკონომიკის სამსახურის ინფრასტრუქტურის განყოფილების სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის ”რ“ „ს“; და „ღ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური სერვისების განყოფილების უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილების მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

4. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „ტ“ და „ყ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამიდან დახმარების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი; მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები მუხლი

6. სამსახურის მიერ დასკვნის მომზადება

1. სამსახური სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი

ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას და ამზადებს დასკვნას ბენეფიციართა საქმეში შესაბამისი შესწორებების შეტანის თაობაზე (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა). ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფა და ა.შ.

3. სამსახური, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში მოიპოვებს ინფორმაციას სკოლის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და პროგრამის გაგრძელების შესახებ დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 7. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება
1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

2. მერის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.

3. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით ტრანსპორტირების თანხა სკოლას გადაერიცხება ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

4. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის 1-ლი მუხლის „მ“ ; „რ“ და „ყ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დახმარების გაცემა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს კომისიის ოქმის გარეშეც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

მუხლი 8. ფულადი დახმარების გაცემა

1. სოციალური დახმარების გაცემა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

2. მერის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და დანიშნულია სოციალური დახმარება, იგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში.

3. სოციალური დახმარების გაცემას ახდენს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N69(24.12.2024).

დღის წესრიგის მეჩვიდმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან განმარტა, რომ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პროგრამული ბიუჯეტით წარმოდგენილია 24 სოციალური პროგრამა. მათ შორის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 24). მუნიციპალიტეტი პერსონალური ასისტენტის პროგრამას ახორციელებს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით

სახელმწიფოს მიერ ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში და დელეგირებისთვის განკუთვნილი მიზნობრივი ტრანსფერის მოცულობით. ზემოაღნიშნული პროგრამებიდან დახმარების გასაცემად აუცილებელია „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის და „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის პერსონალური ასისტენტის სერვისის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა და მიღება.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N70(24.12.2024).

დღის წესრიგის მეთვრამეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 10 დეკემბრის N1785 განკარგულებით შესული ცვლილებებით, სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 3 000 000 ლარი, რომელიც მიიმართება: შიდა გზების, სანიაღვრე არხების და ხიდების რეაბილიტაციაზე 2 350 000 ლარი, გაბიონების მოწყობის სამუშაოების დაფინანსებაზე 650 000 ლარი. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2400 განკარგულებაში მიმდინარე წლის დეკემბრის განკარგულებით შესული ცვლილებებით მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 1 119 486 ლარი და მიიმართება გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე.

შემოსული წერილების განხილვის შედეგად მიზანშეწონილია დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს: სპორტის ხელშეწყობის პროგრამის სხვა ხარჯების მუხლის 500 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს კულტურის ხელშეწყობის პროგრამის სხვა ხარჯების მუხლი 500 ლარით, ახალგაზრდული მხარდაჭერის პროგრამის გრანტის მუხლის 1500 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სუბსიდიის მუხლი 1500 ლარით.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის შრომის ანაზღაურების მუხლის 1700 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 1700 ლარით.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების შრომის ანაზღაურების მუხლის 2050 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 2050 ლარით.

ა(ა)იპ კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის წყლის სისტემის ექსპლუატაციის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი შემცირდეს 20000 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 12000 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის არაფინანსური აქტივების მუხლი 10000 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლი 5000 ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურების მუხლი 8500 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლი 30800 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურების ფონდი გაიზარდოს 700 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების ოფისი მუხლი გაიზარდოს 7000 ლარით.

აღნიშნული ცვლილებები უნდა აისახოს 2024 წლის ბიუჯეტში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და

წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N20(24.12.2024).

დღის წესრიგის მეცხრამეტე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი სახცოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 აგვისტოს N12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხილულ იქნა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიმდინარე წლის 20 სექტემბრის GOV82400026297 წერილი, რომელიც ეხება საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობის სამართლებრივი ზედამხედველობის სამმართველოს მიერ განხორციელებული „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 აგვისტოს N12 დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის დროს გამოვლენილ ხარვეზებთან დაკავშირებით, ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ მოსაზრებები განსახორციელებელ ცვლილებებთან დაკავშირებით და წარმოგიდგენთ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის პოზიციას. დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან დაკავშირებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა რეგისტრაციისა და მათი დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი არ ვრცელდება პირზე თუ მას აქვს საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობისა თუ სარგებლობის უფლება სხვა საცხოვრებელ/ არასაცხოვრებელ ფართზე/მიწის ნაკვეთზე; მოცემული ჩანაწერი საკრებულოს მხრიდან საჭიროებს დამატებით მსჯელობას, ვინაიდან შესაძლებელია პირს გააჩნდეს უძრავი ქონება (მაგ: არასაცხოვრებელი ფართი/მიწის ნაკვეთი), თუმცა მისი საცხოვრებლად გამოყენება შეუძლებელია, ან მისი რეალიზაციიდან მიღებული თანხა არ არის საკმარისი საცხოვრებლის დასაქირავებლად. ამასთან დანართის მე-2 მუხლში, სადაც გაწერილია სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილებები, შესაძლებელია დამატებით მიეთითოს, რომ თუ პირს უფიქსირდება უძრავ ნივთზე (არასაცხოვრებელ ფართზე/მიწის ნაკვეთზე და ა.შ) მართლზომიერი მფლობელობისა და სარგებლობის უფლება, სამუშაო ჯგუფს აქვს უფლებამოსილება შეაფასოს ფაქტობრივი მდგომარეობა და განსაზღვროს უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის იქნება თუ არა საკმარისი. შევიდეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტში კერძოდ: მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) პირზე, თუ მას აქვს საკუთრების, მართლზომიერი მფლობელობისა თუ სარგებლობის უფლება სხვა საცხოვრებელ/არასაცხოვრებელ ფართზე/მიწის ნაკვეთზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აშკარაა, რომ უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა არ/ ვერ იქნება საკმარისი საცხოვრისით უზრუნველყოფისათვის;“ დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „გ“ ქვეპუნქტი:

„გ) თუ პირს უფიქსირდება უძრავ ნივთზე (არასაცხოვრებელ ფართზე/მიწის ნაკვეთზე და ა.შ) მართლზომიერი მფლობელობისა ან სარგებლობის უფლება, სამუშაო ჯგუფი ვალდებულია შეაფასოს ფაქტობრივი მდგომარეობა და განსაზღვროს უძრავი ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხა საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის იქნება თუ არა საკმარისი.“ასევე, დანართის მე-2 მუხლში მიზანშეწონილია დაზუსტდეს მერიის თანამდებობის პირი, რომელიც სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის სტატუსს შეითავსებს. მიგვაჩნია რომ იმ თანამდებობის პირის წესში დაკონკრეტება, რომელიც სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის სტატუსს შეითავსებს, არ წარმოადგენს აუცილებლობას, ვინაიდან წესი მარეგულირებელი ნორმაა და საკითხი უფრო მარტივად და პრაქტიკულად

დარეგულირებადია მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით - ბრძანებით, რასაც ითვალისწინებს კიდეც დანართის მე-2 მუხლის პირველი-მეოთხე პუნქტები. დანართის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტთან მიმართებაში სამუშაო ჯგუფმა დამატებით უნდა იმსჯელოს იმ საკითხზე, როცა პირს/ოჯახს უფიქსირდება შემოსავალი, თუმცა აღნიშნული შემოსავალი არ არის საკმარისი საცხოვრებლითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის. დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის 1-ლი მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ“ ქვეპუნქტი:

„ვ) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურისა და შესაბამისი საბანკო დაწესებულებ(ებ)ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახს გააჩნია რეგისტრირებული შემოსავალი, გარდა იმ შემთხვევისა თუ სამუშაო ჯგუფის მიერ ოჯახის შესახებ ინფორმაციის მოძიებამდე 6 თვის განმავლობაში ოჯახის წევრების მიერ მიღებული შემოსავალი არ აჭარბებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამით“ გათვალისწინებული ქირის თანხის 6 თვის კომპენსაციას და ამავე პერიოდში საჯარო სამართლის იურიდიული პირის „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის“ მიერ განსაზღვრულ პირის საარსებო მინიმუმისათვის აუცილებელი თანხების ერთობლიობას;“ დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის მე-2 მუხლის მე-9 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:

„დ) თუ პირს/ოჯახს შემოსავლების სამსახურში უფიქსირდება შემოსავალი, სამუშაო ჯგუფი ვალდებულია შეაფასოს აღნიშნული შემოსავალი არის თუ არა საკმარისი საცხოვრებლითა და საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფისათვის.“

დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის შინაარსი აუცილებელია შესაბამისობაში მოვიდეს ამავე დანართის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტთან, რომლის თანახმად ოჯახის სარეიტინგო ქულა არ უნდა აღემატებოდეს 200 000-ს. ამდენად, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 100 001-დან 200 000-მდე – 4 ქულა.“ დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“ა.დ) ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების ერთიან მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა არის 100 001-დან 200 000-მდე – 4 ქულა.“ დანართის მე-5 მუხლი საჭიროებს დამატებით მსჯელობას და იმ შემთხვევის გათვალისწინებას, როცა პირს გაუფორმდა ხელშეკრულება და მიენიჭა თავშესაფრით სარგებლობის უფლება, თუმცა ის ამ უფლებით არ სარგებლობს (მართებულია მიეთითოს კონკრეტული ვადა, მაგ. „არ ისარგებლებს თავშესაფრით 30 დღის განმავლობაში...“).

დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 41პუნქტი:

„41. სამუშაო ჯგუფი, დროებითი საცხოვრებლით მოსარგებლე პირთან გაფორმებული ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან მინიმუმ 3 (სამი) თვის განმავლობაში თავშესაფარში ოჯახის არცხოვრების ფაქტის (ცხოვრების ფაქტის დადასტურებად არ განიხილება ოჯახის წევრთა მიერ საცხოვრისში ერთჯერადი ვიზიტები ან მათი მხრიდან საცხოვრისის გამოყენება ნივთების განთავსება/შენახვის მიზნით, გამონაკლისს წარმოადგენს ის შემთხვევები, როცა განმცხადებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენით დასტურდება ოჯახის წევრთა მიერ სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული შემთხვევების, მესამე პირის მიერ დაფინანსებულ სასწავლო პროგრამებსა და კურსებში ჩართვის და სხვა სასწავლო-შემოქმედებითი მიზნით) დადასტურების შესახებ ინფორმაციას, ოქმისა და ვიდეოჩანაწერის სახით, აწვდის ლანჩხუთი მუნიციპალიტეტის მერს, რომლის საფუძველზეც მზადდება ბრძანება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.“

დადგენილებით დამტკიცებული N1 დანართის მე-4 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. ყოველი შემდეგი შეფასება მოხდება წინა შეფასებიდან ორი წლის შემდეგ ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტის შესაძლებლობისა და არსებული საცხოვრებელი ფართების რესურსების შესაბამისად, გარდა ამავე დადგენილების მე-5 მუხლის 41 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი წარმოდგენილია ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 20 წევრი.
მომხრე საკრებულოს 20 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N71(24.12.2024).

სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე საკრებულოს წევრთა
დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

24 დეკემბერი 2024 წელი
12:00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ბესიკ ტაბიძე	11 35	
2	ემზარ თევდორაძე	12 00	
3	ვერიკო კვირკველია	11 52	
4	გიორგი ჩახვაძე	11 55	
5	გიორგი ხელაძე	11 55	
6	ალექსანდრე მახათაძე	11 52	
7	ზაზა წულაძე	11 55	
8	კარლო კვიტაიშვილი	11 45	
9	გიორგი იმნაიშვილი	11 47	
10	ია მოქია	11:55	
11	კახაბერ ასკურავა	—	
12	მაკა მშვიდობაძე	—	
13	ვლადიმერ ნანაძე	11 55	
14	კარლო წილოსანი	11 58	
15	ლოლიტა ურუშაძე	11 55	
16	ნინო მშვიდობაძე	11 56	
17	გოგი მორჩილაძე	11 45	
18	სპარტაკ კვაჭაძე	11-53	
19	გიორგი გოგუაძე	—	
20	გოჩა ჯანაშია	—	
21	ელისო ჭიჭინაძე	11 50	
22	რევაზ კვერენჩხილაძე	11 48	
23	კახა თედორაძე	11 55	

24	დარეჯან ბურჭულაძე	11	
25	ირმა მგელაძე	—	
26	გივი ცინცაძე	—	
27	ჯუმბერ ბლაგიძე	—	